

ქეთევან ანდრონიკაშვილის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ქეთევან ანდრონიკაშვილის განცხადება თეატრალური განყოფილების გამგისადმი, მისი და ევროპული ცეკვის მასწავლებელ – ავაქოვის სტუდიების ერთ შენობაში მოთავსების შესახებ. განცხადებას ერთვის სათეატრო მუზეუმის გამგის – შ. დადიანის დადებითი რეზოლუცია.
1922 წ. 22 აპრილი. ხელნაწერი. ლურჯი და წითელი მელანი. ხელს აწერენ: ქართული საცეკვაო სტუდიის გამგე, მსახიობი – ქ. ანდრონიკაშვილი, ევროპული ცეკვის მასწავლებელი – ავაქოვი. 1 გვ.
2. ქეთევან ანდრონიკაშვილის მიმართვა–თხოვნა სათეატრო და სამუსიკო საქმეთა გამგეობისადმი საცეკვაო სტუდიის გახსნის შესახებ.
1922 წ. 23 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
3. სახალხო განათლების კომისარიატის მიერ გაცემული მოწმობა ქეთევან ანდრონიკაშვილის მიერ ქართული საცეკვაო სტუდიის გახსნის შესახებ.
1922 წ. 4 სექტემბერი. ტფილისი. 1 გვ. (2 ეგზ.)
4. საქ. მთავარ სახ. კომიტეტის მიერ გაცემული მოწმობა ქ. ანდრონიკაშვილსა და ავაქოვისათვის საცეკვაო სტუდიის გასახნელად ნებართვის გაცემის შესახებ.
1922 წ. 26 ნოემბერი. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს: სათეატრო მუზეუმის გამგე – შ. დადიანი. 1 გვ.
5. ქეთევან ანდრონიკაშვილის განცხადება სახალხო განათლების კომისარისადმი, თბილისში საცეკვაო სტუდიად გახსნის შესახებ. (განცხადებას ერთვის ინსტრუქცია).
1924 წ. 26 აპრილი. ავტოგრაფი. 4 გვ.
6. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ქეთევან ანდრონიკაშვილის დამკრძალავი კომისიის ოქმი.
კომისიის წევრები: ივ. გვინჩიძე, პ. კანდელაკი, ელ. ჩერქეზიშვილი, დ. ჯანელიძე.
1925 წ. ნაბეჭდი. ხელს აწერს: დამკრძალავი კომისიის მდივანი – დ. ჯანელიძე.
1 გვ.
7. ნ. კობეშვიძის მიერ დაწერილი ქეთევან ანდრონიკაშვილის მოკლე ბიოგრაფია გარდაცვალებასთან დაკავსირებით.

უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.

სხვადასხვა

8. საქ. სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის მიმართვა მსახიობ ქეთევან კახიძისადმი, სათეატრო მუზეუმში საქმეზე მოსალაპარაკებლად გამოძახების შესახებ.

1939 წ. 20 სექტემბერი. სატიტულო ფურცელი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

